პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

ქ.თბილისი 20.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი; საბჭოს სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ანასტასია ქიტიაშვილი – სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩიქოვანი - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი;
მალხაზ შურღულაია - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
ელენე ალადაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, ა(ა)იპ - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალის საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითრების დირექტორი.
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის" ხარისხის მენეჯერი;
თამარ ტაბიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ლექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის ვიზიტების უზრუნველყოფის სპეციალისტი

თეა ოსეფაშვილი - პროექტის ,, საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია'' მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფაზისის'' წარმომადგენლები:
ნინო ბაკურაძე - დირექტორი
ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის წარმომადგენლები:
მანანა მოისწრაფიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
გიორგი ზაზაშვილი - კოორდინატორი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' წარმომადგენლები:
ნონა ღუდუშაური - დირექტორი
დავით უგულავა - დირექტორის მოადგილე
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ვანო ოთხოზორია
მარინა გოგოლაძე
რუსუდან თედორაძე
დავით კუპატაძე
ტიტე ბოლქვაძე
თამარ ვალიშვილი
იაზონ დანელია

სხვა დამსწრე პირები:
მარინე ნადირაძე - შპს ცოდნის დირექტორი
შოთა მარგიშვილი - ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საწარმოო პროცესის მენეჯერი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი

განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფაზისის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
5. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ვანო ოთხოზორიამ, მარინა გოგოლაძემ და რუსუდან თედორაძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვანო ოთხოზორიამ აღნიშნა, რომ 2018 წლის 28 თებერვალს, 1 და 2 მარტს, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ვიზიტი განხორციელდა ქ. ფოთში, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში "ფაზისი".

ვანო ოთხოზორიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება მთლიანობაში აკმაყოფილებს ავტორიზაციის ორ სტანდარტს და შესაბამის ქვესტანდარტებს, თუმცა ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია რეკომენდაციები, რომელიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიეცა კოლეჯს, რომლებიც ძირითადად უკვე გათვალისწინებულია.

ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში აღნიშნა კოლეჯის საუკეთესო გამოცდილება:

- კოლეჯს აქვს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები. სხვა სახის შემოსავლები ორჯერ აღემატება ვაუჩერული დაფინანსების ოდენობას;
- კოლეჯს ჰყავს პარტნიორი საწარმოების შთამბეჭდავი რაოდენობა, რაც კერძო სექტორთან თანამშრომლობის პრიორიტეტულობაზე მეტყველებს;
- კოლეჯს ჰყავს საკმაო რაოდენობის ადმინისტრაციული პერსონალი, რაც სტრატეგიული ამოცანების ფართო სპექტრის დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობას იძლევა;

- კოლეჯი ფლობს ISO სერტიფიკატს (ISO 9001-2015) ხარისხის მენეჯმენტის სისტემებში, რაც არა მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობის, არამედ კოლეჯის ყველა პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის კარგი მექანიზმია;
- კოლეჯი სასწავლო პროცსში აქტიურად იყენებს სწავლების ელექტრონულ რესურსებს, თითქმის ყველა პროგრამის ფარგლებში. ასევე საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ელექტრონული სახელმძღვანელოების გამოცემას ბეჭდური სახით, მეტი ხელმისაწვდომობისათვის.

ვანო ოთხოზორიამ აღნიშნა, რომ რაც შეეხება ხარვეზს, ის განისაზღვრა პირველ სტანდარტთან მიმართებაში. სტუდენტთა პირადი საქმეების შესწავლისას შენიშნეს, რომ ერთი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში აღმოჩნდა სკოლის დამამთავრებელი ატესტატი გაცემული ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მიერ (ოტობაიის საშუალო სკოლა 25.06.2012) და არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი აღიარება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს და პროფესიულ სტუდენტს. პროფესიულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ის საქმის კურსში იყო. აღნიშნა, რომ კოლეჯში მას განუმარტეს, თუ რა ტიპის დოკუმენტაცია უნდა შეეგროვებინა და წარედგინა განათლების აღიარებისათვის, მან მოახდინა აღნიშნული საბუთების შეგროვება და ფოსტის საშუალებით გადააგზავნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში. გარკვეული დროის შემდეგ აღმოაჩინა, რომ გაგზავნილი დოკუმენტაცია არ იყო მისული ადრესატამდე. დირექტორის მოადგილემ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ იურისტის დეკრეტული შვებულებიდან გამომდინარე შეასუსტა კონტროლი და გამორჩა ეს გარემოება. კოლეჯის იურისტთან ვერ მოხერხდა გასაუბრება მისი დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის გამო.

დაწესებულების დირექტორმა ნინო ბაკურაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების შესახებ არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, თუმცა სტუდენტმა აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგინა ვიზიტის შემდეგ. მინისტრის აღნიშნული ბრძანება სტუდენტის ჩარიცხვამდეა გამოცემული და წარმოადგინა ბრძანების ასლი.

მალხაზ შურღულაიამ აღნიშნა, რომ თუ ასეთი ბრძანება არსებობს, შესაბამისად ხარვეზი გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის აღმოფხვრილია, რასაც დაეთანხმენ საბჭოს სხვა წევრებიც.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ჰქონდათ.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, თუ რატომ მიეცა დაწესებულებას რეკომენდაცია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო რამდენიმე პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებაზე.

ვანო ოთხოზორიამ შენიშნა, რომ „ფერმერობა მეთევზეობაში“, „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ და ,,სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ პროგრამების შესაბამისი პარტნიორების საწარმოო ბაზა მეტად შთამბეჭდავი იყო ექსპერტებისთვის. მატერიალური

აღჭურვილობა, სივრცე და მიდგომები სრულ შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული პროგრამები განხორციელდეს დუალური მოდგომით. რუსუდან თედორაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯში არსებობს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, თუმცა, დაწესებულებაში არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია გაცილებით მცირე რაოდენობის სტუდენტთა მიღება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროგრამები განხორციელდება დუალური მიდგომით. მარინა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ იმყოფებოდა საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე, შპს ,,აჭარა-ტექსტილში'' და თვლის, რომ ყველა პირობაა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფაზისის'' ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 435-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "ფაზისს" (საიდენტიფიკაციო კოდი:215101716) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 435-ით.

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

2	შემდუღებელი	მესამე	შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041272	45	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
3	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	45	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
4	ძრავის შემკეთებელი	მესამე	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
5	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	მესამე	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112053	60	ქართული	15	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
6	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	მესამე	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112054	45	ქართული	15	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
7	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
8	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

9	მოლარე (ბანკის და ა.შ)	მესამე	მოლარის (ბანკის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020152	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	91	106	ქართული	40	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	36	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
3	ელექტროობა (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	56	71	ქართული	26	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
4	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	40	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

5	ფერმერობა მეთევზეობაში (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
6	თევზის გადამუშავება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
7	ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
8	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (1)	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566	93	108	ქართული	13	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ხარისხის მართვის მენეჯერი მანანა მოისწრაფიშვილი და კოორდინატორი გიორგი ზაზაშვილი. მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯის დირექტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ ესწრება საბჭოს სხდომას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - დავით კუპატაძემ და ტიტე ბოლქვაძემ.

დავით კუპატაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 5, 6 და 7 მარტს. დაწესებულება სამივე პროგრამის განხორციელებას დუალური მიდგომით გეგმავს.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა დადებით გამოცდილებაზე, კერძოდ, სასწავლო გეგმის მიხედვით დაწესებულების ბაზაზე განსაზღვრული ასათვისებელი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ (20 კრედიტის გავლის შემდეგ) პროფესიულ სტუდენტებს დაენიშნებათ განმავითარებელი შეფასება, რომელიც ემსახურება პროფესიული სტუდენტების დადებითი მხარეების და ნაკლოვანებების გამოვლენას. განმავითარებელი შეფასების შემდეგ თითოეულ პროფესიულ სტუდენტთან ჩატარდება ინდივიდუალური გასაუბრება, რომლის ფარგლებშიც პროფესიულ სტუდენტებს მიეცემათ რჩევები და რეკომენდაციები მათი შემდგომი სწავლის პროცესის უკეთ დაგეგმვა/გაუმჯობესებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. აღნიშნული შეფასება ტარდება სწავლის შედეგების დადასტურებისგან დამოუკიდებლად და იგი არ მონაწილეობს სტუდენტების საკვალიფიკაციოდ გამიზნულ შეფასებებში. განმავითარებელი შეფასების შედეგები აისახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში და იგი ასახავს სტუდენტის იმ პირად თვისებებს, რომელიც კავშირშია წარმოებაში სამუშაოების უსაფრთხო შესრულებასთან.

განმავითარებელი შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების წარმოებაში პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე. ამასთან, პრაქტიკის ინსტრუქტორი ვალდებული იქნება გაეცნოს მასზე მიმაგრებული პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს წინასწარ. ექსპერტის შეფასებით ამ დარგში უსაფრთხოების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია და მიზანშეწონილია ინსტრუქტორი წინასწარ ფლობდეს ინფორმაციას სტუდენტის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული მიიჩნია საუკეთესო გამოცდილებად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რიგი რეკომენდაციები, თუმცა ეს რეკომენდაციები ემსახურება დაწესებულების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯში ხარვეზები არ დაფიქსირებულა და დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.
მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებს. გიორგი ზაზაშვილმა აღნიშნა, რომ სს ,,საქართველოს რკინიგზაში'' მომუშავეთა საშუალო ასაკი, უახლესი მონაცემების თანახმად, 50 წელს აღწევს, ლოკომოტივის მემანქანეთა საშუალო ასაკი შეაგდენს 51 წელს. აღნიშნული მონაცემები მეტყველებს კომპანიის ,,დაბერებაზე''. კომპანიის მიზანია მიიღოს კვალიფიციური კადრები და შეამციროს თანამშრომელთა საშუალო ასაკი. გიორგი ზაზაშვილის განმარტებით, ამ პროგრამების დუალური მეთოდით განსახორციელებლად, მათ შეისწავლეს და დანერგეს გერმანული დუალური მოდელი. აქვე შენიშნა, რომ სტუდენტები მოიაზრებიან მათ პოტენციურ თანამშრომლებად და ფიქრობენ, რომ კურსდამთავრებულთა დაახლოებით 90% დასაქმდება სს ,,საქართველოს რკინიგზაში''. ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია თვალყური ადევნონ სტუდენტთა პროფესიულ განვითარებას. სტუდენტი ზოგადი მოდულების გავლის პერიოდში ავლენს მისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს, რის საფუძველზეც მოხდება ინდივიდუალური შეფასება. აქვე შენიშნა, რომ სამწუხაროდ ამ დარგის მიმართ სტუდენტთა მაღალი ინტერესი არ შეიმჩნევა და ფიქრობენ, რომ ეტაპობრივი ინდივიდუალური შეფასებით მოხდება სტუდენტთა დამაგრება და ვარაუდობენ, რომ ეს ხელს შეუშლის სტუდენტთა გადინებას.

ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია დამსაქმებელთა ასეთი ჩართულობა და მიზანდასახულობა. აღნიშნულს დაეთანხმა საბჭოს წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სად განხორციელდება აღნიშნული პროგრამები და რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს კოლეჯი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით კუპატაძემ აღნიშნა, რომ სამივე პროგრამა განხორციელდება ქ. თბილისში, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10.

გარდა ამისა პროგრამების მიხედვით: რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობა განხორციელდება თბილისში, ზესტაფონის ქ. №24. პროგრამაზე 30 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი.

რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი განხორციელდება თბილისში, ზესტაფონის ქ. №26 და „ველი"-ში (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია). პროგრამაზე 30 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი.

რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა განხორციელდება თბილისში, ზესტაფონის ქ. №26 და „ველი"-ში (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია). პროგრამაზე 60 სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ

- სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (ს/კ:402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	92	122	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №24
2	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 040690	95	110	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №26 ქ. თბილისი, "ველი" (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)
3	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა (2)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 040690	79	94	ქართული	60	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. №26 ქ. თბილისი, "ველი" (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

3. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს. გამომდინარე იქიდან, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული წინა საკითხით საბჭომ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიანიჭა უფლება დამატებით განახორციელოს პროგრამები, რომელთა მიხედვით დაწესებულებას განესაზღვრა ჯამურად 120 სტუდენტის ოდენობა, აღნიშნული იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებით კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 20-ით, ამიტომ საჭიროა ამ გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 140-ით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 402019917) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

4. ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელი არ ესწრება სხდომას. სატელეფონო კომუნიკაციით დაწესებულების დირექტორმა, თამარ ლანჩავამ განაცხადა, რომ მან უკვე დააფიქსირა თავისი პოზიცია და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებს. მისი პოზიცია ცალსახად ცნობილია, ამიტომ კახაბერ ერაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, აღნიშნული საკითხი განხილულიყო დაწესებულების წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - თამარ ვალიშვილმა და იაზონ დანელიამ.

თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა ქ. ქუთაისში, საავტორიზაციო ვიზიტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებულ მისამართზე (გამსახურდიას ქ. №34). აღნიშნულ მისამართზე მდებარეობს სამსართულიანი შენობა, რომლის გარე ფასადზე გამოკრულია აღნიშნული კოლეჯის აბრა. ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელი შენობის მესამე სართულზე უნდა ყოფილიყო განთავსებული. ექსპერტთა შეფასებით აღიშნულ ფართში კოლეჯის ფუნქციონირება არ ფიქსირდება, რადგან ვიზიტის დროს ამ ფართში განთავსებული იყო სხვადასხვა დაწესებულებები. ექსპერტები გაესაუბრნენ ამ დაწესებულებების წარმომადგენლებს. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებლის შესახებ.

თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯის დირექტორთან ვიზიტის წინა დღეს შედგა სატელეფონო საუბარი და ეცნო მომდევნო დღეს კოლეჯში დაგეგმილი მონიტორინგის ვიზიტის შესახებ.

აღნიშნულ მისამართზე კოლეჯის არ ფუნქციონირების დაფიქსირების შემდეგ, ექსპერტები დაუკავშირდნენ კოლეჯის დირექტორს, თამარ ლანჩავას, რომელმაც არ ისურვა ექსპერტებთან თანამშრომლობა და აღნიშნა, რომ კოლეჯი არ ფუნქციონირებს.

იაზონ დანელიამ აქვე შენიშნა, რომ კოლეჯის აბრა ისეთ ადგილზე მდებარეობს, რომ შესაძლოა მისი ჩამოხსნა ფინანსურ ხარჯებს უკავშირდებოდეს და ამიტომ რჩება ამ დრომდე ადგილზე.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ავტორიზაციის ყველა სტანდარტი დარღვეულია.

თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოსაზრებით ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელში დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლი. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მეშვიდე პუნქტის და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - მენეჯერთა სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 412674681) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

5. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "მერმისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "მერმისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "მერმისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "მერმისისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ავტორიზაციის დებულებაში 2018 წლის 31 იანვრის N07/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე.წ. საგნობრივ პროგრამებზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აქვე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირებას.

კახაბერ ერაძემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით შეიცვალა ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის გ) პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების 30[2] მუხლის პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე.
ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებში კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

კახაბერ ერაძემ განმარტა, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "მერმისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის

განსაზღვრას. ამდენად, ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებით განისაზღვრა 1000-ით, რაც წარმოდგენილ პროგრამებზე სრულად გადანაწილებულია. შესაბამისად, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უცვლელად რჩება.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 და სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილებებში ცვლილება ეხება რიგი მოდულური პროგრამების კრედიტების ცვლილებას. ამდენად, ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების კორექტირების საჭიროების შესახებ.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებებში ასევე შედის ტექნიკური ცვლილება.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა, ნონა ღუდუშაურმა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №23 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია 080360	60	ქართული	38	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	სტილისტი (ქალი, მამაკაცი)	მესამე	სტილისტის (ქალი, მამაკაცი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080368	45	ქართული	34	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	მემინანქრე	მესამე	მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080355	45	ქართული	34	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი	მესამე	ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია 080366	70	ქართული	12	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
5	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	მესამე	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080367	60	ქართული	11	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

6	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	45	ქართული	14	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
7	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	17	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
8	გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.)	მესამე	გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112051	60	ქართული	16	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
9	ტუროპერატორი (აგრო-, ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი)	მესამე	ტუროპერატორის (აგრო-, ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112052	60	ქართული	12	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
10	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	მესამე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის კვალიფიკაცია 040151	60	ქართული	23	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
11	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	მესამე	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040769	60	ქართული	9	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
12	ძრავის შემკეთებელი	მესამე	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	19	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

13	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი	მესამე	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040955	45	ქართული	8	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
14	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი	მესამე	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040951	65	ქართული	14	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
15	ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	16	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
16	დურგალი	მესამე	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040952	60	ქართული	5	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
17	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი	მესამე	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041352	45	ქართული	16	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
18	მზარეული	მეორე	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	ქართული	79	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
19	მზარეული	მესამე	მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	ქართული	34	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეიცვალოს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №15 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისს'' (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	80	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	გუღალტერ-ტექნიკოსი (1)	მესამე	გუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020155	63	78	ქართული	5	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

3	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (1)	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566	105		ქართული	30	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	თექის ოსტატი (1)	მესამე	თექის ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080382	66	81	ქართული	24	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
5	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი (1)	მეოთხე	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080359	97	127	ქართული	24	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
6	ფილამწყობი (1)	მესამე	ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040682	68	83	ქართული	30	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
7	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი (1)	მეოთხე	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080381	97	127	ქართული	28	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
8	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი (1)	მეხუთე	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული	107	137	ქართული	15	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

			კვალიფიკაცია 080377					
9	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი (1)	მეოთხე	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080367	122	152	ქართული	16	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეიცვალოს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №25 გადაწყვეტილების მეორე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისს'' (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ტუროპერატორი (1)	მეხუთე	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	94	124	ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	ბუღალტერი (1)	მეხუთე	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	109	139	ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	ოფისის მენეჯერი (1)	მეოთხე	ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020365	146		ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	92	107	ქართული	60	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
5	თმის სტილისტი (1)	მესამე	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეიცვალოს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ''მერმისს'' (ს/კ: 209467646) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კონდიტერი (1)	მესამე	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010462	76	91	ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	მემინანქრე (1)	მეოთხე	მემინანქრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080355	77	107	ქართული	40	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

3	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი) (1)	მეოთხე	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტის (გენერალისტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040164	125	155	ქართული	20	ქ. თბილისი, გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 13:10 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი